№ 215
შაბათი, 7 ოქტომბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 215
შაბათი, 7 ოქტომბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი№ 227

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
სალამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—6)

ქართული თეატრი.
კვირას, 8 ოქტომბერს, 1895 წ.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების" დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ქ-ნ ავალიშვილისა, ბ-ნთ ალექსი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით
დაძმა.
დრამა 5 მოქმედ. თხზულ. გუნიასი.
მონაწილეობას ღებულობენ: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, და სხვ. ბ-ნნი ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრავია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
მზადდება წარმოსადგენად: „იაკობელები" დრ. 5 მოქმ. თხ. ფრანსუა კოპპესი, თარგ. პ. ყიფიანის და გრ. ყიფშიძისა.
ადმინისტრატორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

## ახალი ამბავი

—

*** დრამა „იაკობელები" რომელიც კვირას, 8 ამ თვეს, უნდა წარმოედგინათ, შემდეგისათვის გადაიდვა, რადგანაც ტანისამოსის შეკერვა ვერ მოასწრეს. მის მაგიერ კვირას, რვა ამ თვეს, წარმოდგენილ იქნება დრამა „და-ძმა" ვალ. გუნიასი.

*** ტფილისის ხელოსნებს თავად რაფაელ ერისთავისათვის მისართმევად დაუმზადებიათ მშვენიერი საწერი მაგიდა კარგის ხისა, წინ ორის რაფით წიგნებისა და სხვა საჭირო ნივთების დასაწყობად; მაგიდას თავზედ ექმნება დადგმული იუბილარის თავ. რაფაელ ერისთავის სურათი მშვენიერის ჩარჩოთი, რომელიც მუხის ხისაგან არის გაკეთებული და რომელიც წარმოადგენს გვირგვინს მუხის ფოთლებისას რკოებით. ნამუშავარი მართლა საუცხოვო რამ არის. თვითონ მაგიდაც გვერდებზედ სულ დაჩუქურთმებულია.

*** ქუთაისის ქალაქის მოურავს შემდეგი წერილი მოსვლია კავკავიდგან: კავკავის ქართველობამ გარდავწყვიტეთ ჩვენც ვიდღესასწაულოთ ჩვენის საყვარელის ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის გაბრიელის ნაყოფიერი 35 წლის სამსახურის იუბილე; ამნაირად რა დღესაც ქუთაისში იდღესასწაულებთ, იმ დღეს ქართულს სკოლაში გარდახდილ იქნეს პარაკლისი, გაეგზავნოს შესაფერი დეპეშა ან წერილი იუბილარს და აგრეთვე დაარსდეს ერთი სტიპენდია კავკავის ქართულ სკოლაში იმ პირობით, რომ თუ სტიპენდიანტი ნიჭიერად ისწავლის, მიეცეს საშუალება სწავლის განგრძობისა რომელიმე საშუალო სასწავლებელში.

*** საქართველოს ექსარხოსს წინადადება მიუცია საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოებისათვის, რომ 10 ოქტომბრისათვის წარმოადგინონ თვისი მოსაზრებანი საეკკლესიო-სამრევლო სკოლათა საჭიროებისა და მოთხოვნილებათა შესახებ.

*** „ნოვ. ობოზ."-ს სწერს საკუთარი კორესპოდენტი 5 სექტემბრიდგან, რომ უმაღლესად ნაბრძანებია და საჯაროდაც გამოცხადდა ქ. ქ. თელავსა, სიღნაღსა, დუშეთსა, ახალქალაქსა, ყუბასა, ლენქორანსა, შემახიასა, ახალ-ბაიაზეთსა, ნახჩევანსა ორდუბათსა, ნუხასა, ოზურგეთსა, პეტროვსკსა და დერბენტში ქალაქის თვით-მმართველობა იქმნას შემოღებული იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ისე ვრცელი არ იქნება წესი თვით-მმართველობისა, როგორც დიდ ქალაქებშია.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი, შედგენილი და გამოცემული ივ. როსტომაშვილისაგან „ქართული ანბანი 18 სურათით ოჯახში, სკოლაში და ხალხში სახმარებელი. ასწავლის წერა-კითხვას ჩქარა და ადვილად. № 1" წიგნი შეიცავს სულ 32 გვერდს, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზედ და ღირს 20 კაპეიკი გაგზავნით. დაპირებისამებრ იბეჭდება დანარჩენი 5 წიგნიც: „მოდი ვნახოთ ვენახი", «რწყილი და ჭიანჭველა», „საბოსტნე მცენარეების თესვა-მოყვანა," „შინაური საქონლისათვის საკვები ბალახების თესვა-მოყვანა» და „სოფლის მოღვაწენი". ფასი მთელის გამოცემისა (ექვსი წიგნისა) 1 მან.

*** ამ დღეებში თავი დაუნებებია სამსახურისათვის სემინარიაში მედიცინის მასწავლებელს მ. მიშკინს. მისის ადგილის მიღებას ცდილობს რამდენიმე ექიმი, რომელთა შორის ერთს ქართველსაც შეუტანია თხოვნა.

არ იქნება ურიგო, რომ სემინარიის მთავრობა, რომლისაგანაც დამოკიდებულია ამორჩევა მასწავლებლისა მთხოვნელ პირთაგან, მიაქცევდეს ყურადღებას შემდეგს გარემოებას: სემინარიაში მედიცინის სწავლებას მხოლოდ ორი წელიწადი აქვს მიჩენილი. ასეთი მოკლე ვადა ასეთის ძნელისა და რთულის საგნის შესასწავლად ძალიან მცირეა და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხნის განმავლობაში მასწავლებელს შეუძლიან გარდასცეს მოწაფეებს მხოლოდ არსებითი პირობანი მედიცინისა. რადგანაც ერთს არსებითს საგანს მედიცინისას შეადგენს ცოდნა ადგილობრივ პირობათა, თვისებათა, შედეგთა და საშუალებათა, ამისათვის ჩვენის ფიქრით, უმჯობესი იქმნებოდა სემინარიის მთავრობა ზემოხსენებულს ალაგს ისეთს ვისმე მისცემდეს, რომელიც ადგილობრივს ენასთანა და პირობაებთან კარგად გაცნობილია, რომ ამ გზით ორის წლის განმავლობაში მოსწავლეებმა, რაც უფრო საჭიროა, ის მაინც შეისწავლონ რიგიანად და გაგებულად დედა-ენის შემწეობით...

*** „კვალის" მე-42-ე №-დამ შემდეგი ამოვიკითხეთ: „ამ წლის 12 ივლისს ცირკულიარულის მოწერილობით №-259 შემდეგი ცნობა დაურიგდა კავკასიის რკინის გზის უფროსისაგან ყველა ამა გზის სამსახურში მყოფ გამგეობის პირებთ: შინაგან საქმეთა და გზების მინისტრების ურთი-ერთ შორის მიწერ-მოწერიდან კარგად გამორკვეულია მთავრობის შემდეგი სურვილიო: რაც შეიძლება შემცირებული იყვეს კავკასიის რკინის გზის სამსახურში ადგილობრივი მცხოვრებთა რიცხვიო და მაგიერ შევსებულ იქმნეს რუსის ხალხიდან, უმეტეს ნაწილ სამსახურიდან დათხოვნილი ჯარის კაცებისაგანაო, რახან სტატისტიკური ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს კავკასიაში წინაამდეგ მმართველობის სურვილისა, თითქმის უპირატესობას აძლევენ სამსახურშიო".

*** სოფ. საირმე, (ლეჩხუმის მაზრა): 4 ოქტომბერს, 1895 წ. წელს ჩვენში პურისა და სიმინდის მოსავალს არა უჭირდა-რა, მაგრამ ღვინო-კი სრულიად არ მოგვივიდა, რის გამოც ისეც დაქვეითებულს გლეხობას უფრო მეტი გაჭირვება მოელის, რადგანაც ჩვენ ღვინოს უფრო გავიმეტებდით გაასასყიდად და მოვიშორებდით სხვა-და-სხვა გარდასახადს, ვიდრემდე პურსა და სიმინდს, რადგან სამი წელიწადი ზედიზედ მოუსავლობა იყო პურისა და სიმინდისა... ეს ორი თვეა ჩვენში გაჩნდა გადამდები სენი, რომელსაც ხალხი მუცელას უწოდებს. ბევრი იმსხვერპლა ამ სენმა და ბევრია ახლაც ავად, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენთვის არც დამრიგებელია, არც მკურნალი და არც ფერშალი; იმედია, ექიმი მალე მოგვეშველება და თავისს დახმარებას აღმოგვიჩენს.

—◆◆—

## შეცდომის გასწორება.

—

„ივერიის" მე-212 №-ში ახალ ამბათ გვქონდა დასტამბული რამდენიმე სიტყვა ქართულ

---

## ფელეტონი

—

### პოეტი.

ხან არწივია მძლავრ-ფრთებ გაშლილი,
გადმოფრენილი მაღლა მთიდანა,
მიაპობს ჰაერს, დასცქერის მიწას
და ცეცხლი სცვივა თვალებიდანა.

—

ხან მტრედი არის, ზის დაღუღული,
კვნესის და სტირის მწარედ მის გული,
ჰყვედრის თვის ბედსა, სწყევლის სოფელსა:
„რათ გამიჩინე დარდი და წყლული!"

—

ხან ნამი არის მაცოცხლებელი,
ყვავილთ დასხმია, თრთის და ციმციმებს,
ხან ვით ბულბული დაჰკრავს დაუშტვენს,
ხან ატირდება, ხან გაიცინებს.

—

ხან დემონია, სძულს მაღლა ზეცა
სწყევლის სამყაროს, სწყევლის მთა და ბარს,
ხან-კი ანგელოსს ედარება
და მუხლ-მოყრილი ჰვედრის მაცხოვარს.

ი. ევდოშვილი.

—◆◆—

### „დიდება ხელოვნებას!"

(ვუძღვნი ჩვენ მსახიობთ).

ფარდა ჩამოეშო. წარმოდგენა გათავდა. აქამდის სულ-გაკმენდილი ხალხი ერთბაშად ახმაურდა, როგორც მოულოდნელად ძაძრული გრიგალი; მაგრამ ეს ქარ-ტეხილი ხალხის აღფრთოვანებისა რუსუდანის ყურამდის ვერ აღწევდა; იგი კვლავ პიესის შთაბეჭდილებას დაემონებინა, ცეცხლ-შეკიდებული თვალები გაეშტერებინა დახურულ სცენისათვის და გულის ფანცქალით რაღაცას ელოდა. მას იმედი ჰქონდა, —რომ ფარდა გადიხსნება და გავიგებ იმ უბედურ ქალის ამბავს, რომელიც ასეთს განწირულს ყოფაში დასტოვა ავტორმაო. რუსუდანს პიესა გათავებული არ ეგონა, არ ეგონა იმიტომ, რომ მისი აღელვებული არსება, ვერ მოჰრიგებოდა საშინელს დასასრულს დრამისას! „ნუ-თუ აღარაფერი ეშველება იმ გატანჯულს, სულით-ხორცამდე დაღუპულს ადამიანს? ნუ-თუ მთელი სიცოცხლე ამ წუმპეში უნდა დარჩეს!"-ო— ჰფიქრობდა იგი. მაგრამ ლოდნა ამაო იყო. ფარდა მართალია ახადეს, მხოლოდ სცენაზედ მწუხარება-უბედურებ(ი)ს ნატამალიც აღარ სჩანდა. თვით ის არტისტნი, რომელნიც ამ ოთხი ხუთი წუთის წინ ისე სასოწარკვეთილებით თავ-პირს იხოკდნენ, გულს იგლეჯდნენ და ცრემლის ნაკადულით რწყავდნენ სცენის ამტვერებულს იატაკს, ახლა დამშვიდებულნი, მომჯადოვებელის ღიმილით თავს იხრიდნენ აღფრთოვანებულის საზოგადოების წინაშე და ხელით კოცნას უგზავნიდნენ ქანდარაზედ მგრგვინავს ხალხს! თანაც მათი თვალების გამომეტყველება იმგვარი იყო, თითქოს საზოგადოებას ეუბნებიან: „ეს არაფერია, აბა კვირას მობრძანდით, მაშინ უფრო მეტად აღგაფრთოვანებთო".

ასე და ამ რიგად ლიტანიობდა ხალხი, ესტეტიკურად დამტკბარი, ლიტანიობდა აგრეთვე გუნდი მსახიობთა—კმაყოფილი, რომ საზოგადოების გული მოინადირა და ფულდანატრებული ჯიბეც თუ არ გაივსო, ცოტათი მაინც გაახარა.

მხოლოდ ერთი რუსუდანი იყო დაშორებული ამ საერთო ლიტანიობას. იგი გაზაფხულის მდინარესავით აბობოქრებულის გრძნობით ჩამოდიოდა თეატრის კიბეზედ. ავტომატურად ჩაიცვა ბიჭისაგან გაწვდილი წამოსასხამი და იელ-ნაჭამივით გაბრუებული გავიდა კარში. იგი მიეჩქარებოდა ჰაერზედ, დაიმედებული, რომ სიგრილე განუფანტავდა თავის ტკივილს და მშვენიერი ბუნება-კი დასჩრდილავდა სავალალო ფიქრთა სრბოლას; მაგრამ არც ამან უშველა, უძლური გამოდგა შემოდგომის გრილი და სუფთა ჰაერი, ვერ გასჭრა აგრეთვე მუქად ჩალილავებულმა ცამ და მაზედ მინაზებულმა მთვარემ, რომელიც, ასე ჰგონია, ეს არის საყვარელს გაჰშორებია და ვნებათა-ღელვის ქარ-ტეხილს დაუღლია, მოუქანცნიაო. დიაღ, სრულიად დაჩლუნგებული იყო ეს შემოქმედებითი ძალა შედარებით იმ აზვირთებულ გრძნობათა მორევთან, რომელშიაც ამ წაღს რუსუდანის არსება ჩაყურყუმელავებულიყო.

თავისს სიცოცხლეში არას დროს ასეთი მწვავე წამები არ გამოუცდია, რაც ამ ორ საათში გამოიარა.

მერე რა იყო ასეთი არაჩვეულებრივი? არაჩვეულებრივი-კი-არა, თვით ჩვეულებრივზედ უჩვეულებრივესი გახლდათ. დრამის თავი და ბოლო ცოლის ღალატი იყო. პატიოსანი ქმარი, უსინიდისო, მაგრამ მომხიბვლელი სახის მექონი მეგობარი ოჯახისა და მტრედსავით გულ-უბრყვილო, გატაცების მონა—ცოლი. როგორც უკვე წარმოიდგენთ—ამ დონჟუანმა, ქალების გულის ისარმა, მხოლოდ ტკბილად მმჩხვლეტავმა—მოინადირა მეგობრის ცოლი, ამას მოჰყვა ღალატი და ქმრის სასტიკი სასჯელი. ცოლი იძულებულია განშორდეს ოჯახს; მიდის საყვარელთან; ისიც ძალიან მალე იცრუვებს გულს და, რა აივსებს ჟინიანობისა და სურვილების სტომაქს, უგემურ ლუკმასავით შორს გასტყორცნის! შემდეგ მცირე ბრძოლისა საყვარელი საყვარელზედ იცვლება და ბოლოს-კი მოტყუებულ ქალს გარყვნილობის ზვირთი იტაცებს.

სრულის ფერადობისათვის—სურათს ზედ დაურთეთ უდედოდ დატოვებული შვილი და ღალატის მსხვერპლი—სათნო და პატიოსანი კაცი—ქმარი.

სახალხო სამკითხველოთა შესახებ. ვიჩქარით გავასწოროთ კორექტურული შეცდომა, რომელმაც სრულიად დაამახინჯა ამბავი. დასტამბული იყო: ორსავე სამკითხველოში **სრულიად** არ მოიპოვება ქართული წიგნები. უნდა იყოს: ორსავე სამკითხველოში **სრულად** არ მოიპოვება ქართული წიგნები.

## ორიოდე სიტყვა რაფაელ ერისთავის სახელობაზედ ქალთა ფონდის დაარსების შესახებ.

როგორც „ივერიის“ მკითხველებმა უწყიან, 30 სექტემბერს მომხდარს ქართველ ქალთა კრებაზედ გარდასწყვიტეს დააარსონ ფონდი იუბილარის თავადის რაფაელ ერისთავის სახელობაზედ, რომლითაც განზრახვა აქვთ გამოზარდონ წერა-კითხვის საზოგადოების სკოლებიდგან ერთ-ერთი გლეხის ქალი. ეს განზრახვა ყოვლად პატიოსნური და საქებარია; როგორც წარსულს კრებაზედ გარდასწყვიტეს, ეს გლეხის ქალი უნდა გაიზარდოს ტფილისის ქალთა სახელოსნო (პროფესიონალურ) სასწავლებელში, სადაც უმეტეს ნაწილად ხელთ-საქმეს ასწავლიან, და შემდეგ უკანვე დაუბრუნდეს თავისს სოფელს, რომ აქ შეძენილი ცოდნა თავისის სოფლის პაწია ქალებს გარდასცეს და გაავრცელოს მათში ის სხვა-და-სხვა ხელთ-საქმე, რომელიც ოჯახისათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს; ხოლო შემდეგში ეს ერთი მცოდნე პირი ათსა და ოცს ხელთ-საქმის მცოდნე პირს შესძენს სოფელს და ამითი დაედვება საფუძველი იმ საქმეს, რომ გლეხნი მიჰხვდებიან, სკოლაში მარტო „ანა-ბანას“-კი არა. სასარგებლო ცოდნასაც იძენენო.

ეს არის ყველასათვის ცხადი სარგებლობა ფონდისა, მაგრამ როგორც მოსალოდნელია, ფონდი პირველად ძლიერ მცირე იქნება, და სწორედ ამიტომაც ქალთა კრებას მეტის რამ აღნიშვნა არ შეეძლო; იგი „დაკმაყოფილდა სახელოსნო სასწავლებლით. მაგრამ როგორც საზოგადოდ დაკვირვებულნი ვართ. ქალების მიერ დაწყებული საქმე არასოდეს უკან არ არის ხოლმე ჩამორჩენილი; ამისათვის საზოგადოდ ქალებს სრული იმედი გვაქვს ერთმანეთს მხარს დავუჭერთ, როგორც ტფილისში მცხოვრებნი, ის საქართველოს ყველა კუთხის ქართველნი ქალნიც და ვეცდებით განზრახული ფონდი, გავაძლიეროთ, რასაკვირველია, შეძლების დაგვარად შეწირულობით; ხოლო ამას უნდა ვცდილობდეთ იმიტომ, რომ ფონდის პატარა დანიშნულებაც გავზარდოთ. დღეს მხოლოდ მდაბალს ქალთა სახელოსნო სასწავლებელში ვფიქრობთ მივაღებინოთ სწავლა ჩვენს სტიპენდიანტ-ქალებს, მაგრამ მაშინ-კი, როდესაც ფონდი გაძლიერდება, ჩვენ შეგვეძლება უფრო მაღალი სასწავლებელი შევასრულებინოთ და უმაღლესიც, როდესაც თითონ თანხაც მაღლა აიწევს; ჩვენ მაშინ საშუალება გვექნება მარტო თითო-კი არ აღვზარდოთ, არამედ ორი, სამი და მეტიც, გარდა ამისა შეგვეძლება სოფლებშიაც დავაარსოთ ისეთი რამ საქალებო სახელოსნოები, რომლებშიაც ადგილობრივ შეისწავლიან გლეხთა ქალნი სხვა-და-სხვა ხელთ-საქმესა და საოჯახო წარმოებასა, როგორც აბრეშუმის მოყვანა და სხვ. იმედია ამიტომ სრულის თანაგრძნობით შეეგებებიან ამ საქმეს ჩვენი ქალები და მხნედ მოჰკიდებენ ხელს მის წარმატებისა და აჰყვავებისათვის. ეს იქნება ფრიად დიდი საქმე, რომელიც ყველა ქართველისაგან გულითადის მადლობითა და თანაგრძნობით იქნება დაჯილდოებული.

ედიშერაანთ ოლა.

5 ოქტომბერი.

## კორესპონდენცია.

**კონსტანტინოპოლი.** დღითი-დღე უფრო და უფრო მწვავდება საქმე. მთელს კონსტანტინოპოლში რაც სომხების მაღაზიები იყო, ყველა დაკეტილია. რადგან ვაჭრობა მეტი ნაწილი სომხების ხელში იყო, ამისათვის საშინლად დაეცა იგი. ორი დიდი ვაჭარი გაკოტრდა. სომეხს, გრიგორიანია თუ კათოლიკე—სულ ერთია, მაღაზია და ყოველივე სავაჭრო დაწესებულება დაკეტილი უნდა ჰქონდეს, გაღება არ შეუძლია. ვაჭრობის შეჩერების გამო ბანკმა „ოტომანმა“ და „კრედი-ლიონემ“ დღემდის სამას-ათასი ლირის პროტესტი განაცხადეს. გამოანგარიშებულია,—თუ კიდევ ერთმა კვირამ ასე გასტანა—ერთი მილიონი ლირი ზარალი მოუვა მთავრობას. სომეხთა დიდი ვაჭრები თავის-თავად-კი არ ჰკეტავენ მაღაზიებს, არამედ მათ სომხების კომიტეტებიდგან სასტიკი ბრძანება აქვთ: „თუ გაგიღიათ მაღაზია, ვერ იცოცხლებთო“.

ამბოხების მეორე დღეს ჯერ კიდევ მაღაზიები ღია იყო, რომ კომიტეტის ოთხ-ოთხი შეიარაღებული ახალგაზრდა სომხები მიადგნენ კარზედ აქაურს ერთ დიდ ვაჭარს და უთხრეს—მაღაზია უნდა დაჰკეტოო; რა მან უარი სთქვა, რევოლვერები აჩვენეს და ისე დააკეტინეს. ბევრმა იმ დღესვე დაჰკეტეს და ბევრმაც მეორე დღეს. სამი დღის შემდეგ ორმა-სამმა კიდევ გააღეს მაღაზიები, მაგრამ დიდის ხნით-კი არა, სულ ერთს საათს არ გაუვლია; ისევ გამოეცხადათ სომეხთა კომიტეტების კაცები. დაადგნენ თავზედ რევოლვერებით და თან ჯარიმა, ზოგს ასი ოქრო, ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები გადაახდევინეს და მაღაზიებიც დააკეტინეს. თვით სასახლის ოქრო-მჭედელს დიდ ვაჭარს „ბაბაიანს“ დააკეტინეს მაღაზია ძალით. ამ უკანასკნელმა ეს გარემოება გუბერნატორს შესჩივლა; გუბერნატორმა სასტიკი ღონისძიება იხმარა, მაგრამ მაინც ვერას გახდა; იმ დღესვე კიდევ გამოეცხადნენ ბაბაიანს, ას-ორმოც-და-ათი ლირი ჯარიმა გადაახდევინეს და მაღაზიაც დააკეტინეს. დოქტორ ხორასანჯის, არავინ იცის რისთვის, ათასი ოქრო გამოართვეს ძალით. დიდ ვაჭარს ტოფილიანსაც ათასი ოქრო წაართვეს, რადგან მას მესამედ გაეღო მაღაზია. ამ უკანასკნელმა კოტრობა გამოაცხადა ას-ოთხმოცდა-ათასი ლირისა. საშინლად აღელვებულია, როგორც მთავრობა, ისე ბანკები და ხალხი; ყველა უსაქმოდ ზის, ვაჭრობა სრულებით შეჩერდა. ხმა დადის, სანამ სომხებს თავისს წადილს არ აუსრულებენ, მაღაზიები არ გაიღებაო.

სომხების მეამბოხენი, რომელნიც მთავრობას გაექცნენ, ყველა ეკკლესიებშია დღემდის და ესენი ასე ამბობენ: სანამ ჩვენი წადილი არ შესრულდება, არ გამოვალთ გარეთაო. ეხლა მთავრობას გარდუწყვეტია, საჭმელს ნუ მივაცემინებთ ეკკლესიაში მყოფებისათვის და იძულებული გახდებიან გამოვიდნენო. გუშინ საჭმელი არ მისცეს, მაგრამ რუსის საელჩომ პროტესტი განაცხადა და მასთან სხვა საელჩოებმაც და დღეს ისევ შევიდა საჭმელი ეკკლესიებში.

აქა-იქ სომხების კვლა კიდევ არის. გუშინ ერთი კაცი და ერთიც 14 წლის ბავშვი ერთად ჩაკლეს სახლში. მთავრობა ყოველს ღონისძიებას ხმარობს მშვიდობა ჩამოაგდოს. ჯარები და პოლიცია თვალ-გაფაციცებით ტრიალებს ყოველ ქუჩაში. ასამდის სოფთები (სჯულის მასწავლებელნი) (სურგუნში) გადაასახლეს აქედგან არაბეთში. ჯერ კიდევ დიდი არეულობაა შიგ სარაიაშიაც (სასახლეში).

ამას წინად, ასე თხუთმეტი დღე იქნება, დიდი შეთქმულობა აღმოაჩინეს სასახლეში. თურმე სომეხთა კომიტეტმა შიგნით სარაიაშიაც იშოვნა მომხრე პირნი და სასახლე უნდოდათ აეფეთქებინათ; მხოლოდ ერთმა სომხის მღვდელმა გასთქვა და გადარჩნენ. არავინ იფიქროს, თუ მართლა აქ სომხის მღვდელს ნამდვილის ღალატით ექნას ეს, არა განგებ შვრებიან, ვითომ რაო და დარწმუნდებიან ოსმალები ჩვენს ღონეზე და თხოვნას აგვისრულებენო. განგებ ყოველივე შეთქმულობას ერთი მათგანი მიდის და ატყობინებს; ვინც ატყობინებს, ის პირველი კაცი ხდება ოსმალებთან და შემდეგ ისევ სომხები სარგებლობენ ამ შემთხვევით და ყოველ მთავრობის გარემოებას და ფიქრს ამ სახით გებულობენ. ძალიან მოხერხებულად ირჯებიან სომხები.

ერთი უბრალო სომეხი ხამალიც-კი საქმეში ურევია; საერთოდ დღეს ყველა ფეხზედ არის დამდგარი, და აშკარად გაიძახიან: ან სიკვდილი, ან თავისუფლებაო. სომხები ამ გზობად დიდს-კი არაფერს თხოულობენ; ამათი თხოვნა შემდეგია: უნდა დაგვენიშნოს ერთი კომისარი ევროპიელი და შემოღებულ იქმნას რამდენიმე ადმინისტრატიული ცვლილებები სასომხეთოშიო, ასე რომ სომხების მართვა-გამგეობა ისევ სულთანის ხელში იქნება, ოღონდ კომისარი უნდა იქმნეს როგორც წარმომადგენელი ევროპის სომხების კეთილ-დღეობისათვის და საზოგადო სომეხთა კონსტიტუციონურ მეჯლისში. ჯარის-კაცის ბედელი აღარ უნდა გამოართვან და ბეჭდვითი საქმე თავისუფალი უნდა ექნათ. ახლა აქ ის აზრი იბადება, რომ თუ ყველა ესენი არა, მცირედის ცვლილებით უნდა მიეცეს სომხებს რეფორმები, თუ არა უეჭველად ომი მოხდებაო. ოსმალები-კი გაიძახიან, არას მივცემთ და არც გვეშინიან არავისი, რადგან რუსეთი და საფრანგეთი ჩვენი მომხრენი არიანო და სხ.

იმამა.

## ხელოსნის რჩევა.

რა არის მიზეზი მუშა-ხელოსანთა დღევანდელ უნუგეშო ყოფა-ცხოვრებისა, ხელობის დაცემისა და სიღარიბე-სიღატაკისა? კერძოთ, სათითაოთ რომ გვკითხოს ვინმემ, ჩვენ, საზოგადოდ ასე ვუპასუხებთ მკითხველს: ჩვენის ასეთის მდგომარეობის მიზეზი ის გარემოებაა, რომ ჩვენ არა გვაბადია-რა ხელობისა და თითო მარჯვენის მეტი.

ჩვენი ბედი და იღბალი დამოკიდებულია ჩვენს შრომაზედ და ხელობაზედ, რომლითაც ვუძლვებით ჩვენს საოჯახო და მრავალგვარს სხვა-და-სხვა მოთხოვნილებას! ერი, მღვდელი, ჩარჩ-ვაჭარი და მტერი—ყველა ჩვენს მარჯვენას შეჰყურებს. თუ ერთი დღეც არის მოვცდით და ან შრომის ღირებული ფასი ვერ ავიღეთ გაკეთებულს საქმეში, მაშინ ყოველი გარდასახადი დღითი-დღე გვე-

---

ყველა ეს, მართალია, რუსუდანისათვის ახალი არ იყო, არა ერთხელ წაეკითხა ამგვარის შინაარსის მოთხრობა—რომანები და ბევრჯელ ენახა სცენაზედ ასეთივე დრამები, მაგრამ სულ სხვა იყო მაშინდელი გულის-ცემა, ამ მოთხრობა-დრამებით გამოწვეული. ის სულიერი მიმოხვრა — ემსგავსებოდა სიბრალულს—ჩვეულებრივ გრძნობას კაცთმოყვარეობისა, აუცილებელს კუთვნილებას ადამიანისას — მეტადრე ქალისას. ახლანდელი მოძრაობა-კი ტანჯვა იყო, სრული, უნაკლულო ტანჯვა თვით იმ უბედურ ადამიანისა, რომლის სისხლ-ხორცად თითქმის გადაქცეულიყო რუსუდანი. იგი იმავე შიშითა და ძრწოლით მიეჩქარებოდა სახლისაკენ და კანკალით უქცევდა გზას გამვლელ-გამომვლელ მამა-კაცთ, როგორათაც დრამის გმირი ქალი. ბიჭი რომ არ ჰყოლოდა თან, უთუოდ გაიქცეოდა, რათა თავი დაეღწია ამ შავ-ბნელ მდგომარეობისათვის.

„ასე რამ აუჩქროლა გული, რამ მოუწამლა სულის მშვიდობა“-ო იკითხავს მკითხველი.—იმან, რომ რუსუდანი რაღაც საერთოს ჰხედავდა თავისსა და პიესაში გამოყვანილ ქალის შორის... არა, ღმერთმა დაიფაროს!.. ჯერ იმ მდგომარეობამდე არ მიეღწია!.. მაგრამ, მაგარი ის იყო, რომ რუსუდანს სინიდისი სრულიად წმინდა არა ჰქონდა, როგორც შეჰშვენის ერთგულს ცოლს თავისს ქმრისას, მოსიყვარულე დედას თავისის შვილისას და ჭეშმარიტ დიასახლისს თავისს ოჯახისას! ამიტომაც საკმარისი იყო ამისი გახსენება, მსახიობის-მიერ სცენაზედ მისის არსების გაპიროვნება და ხელოვნების სარკეში ჩახედვა, რომ კმაყოფილების სხივი მსწრაფლ ჩამქრალიყო და ცხოვრების ტკბილი სურათები—ცისარტყელასავით აფერადებული, ჯოჯოხეთის კუპრში ამოვლებულს დაჰმზგავსებოდა.

დიაღ, გახლდათ რაღაც საერთო—რამ რუსუდანისა და იმ ზნეობა-შელახულ ადამიანის შორის. განა თვით პირველი ხანა მისის ცდომილებისა, რომელიც რუსუდანის გრძნობა-გონების თვალს სცენაზედ გადაეშალა, პირველში საამურ ნიავად მქროლავი და მხოლოდ მერე საშინელ, ყოვლის ზნეობრივის შენობისგამნადგურებელ, ქარ-ტეხილად გარდაქცეული,—იგივე ცხოვრება, იგივე მისწრაფება არ იყო, რომლითაც დღეს დილით რუსუდანი სულს იდგამდა, გულის თქმას იკმაყოფილებდა?!

მაგრამ დავუგდოთ ყური თვით რუსუდანის ფიქრებს, ტუჩების ოდნავის თრთოლვით წარმოთქმულს:

— ღმერთო! რა მზგავსებაა! თითქმის ერთი და იგივე სიტყვები მესმის აქ, სცენაზედ და იქ, ჩემს სახლში! მერე კილო, სახის გამომეტყველება, ხელების სასოწარკვეთილებით ფშვნეტა, იგივე თვალები —ვედრება-მუდარებით და სიტკბოებით მოზღვავებული!.. აი, ახლაც ყურში ჩამომესმის ის მომჯადოებული ხმა, მუსიკასავით ტკბილი!“.

— „რუსუდან ჩემო ღმერთავ, ჩემო სიცოცხლევ! შენა ხარ ის ძალა, რომელიც აღაფრენს კაცს თავისს მძლავრს ფრთებზედ, მიაწვდენს თითქმის ცის უსაზღვრო კიდურს და ამზგავსებს იმ ბედით კმაყოფილს ვარსკვლავს, რომელიც ქვეყნის თაღზედ ბრწყინავს ხოლმე! შენა ხარ თვით სამოთხე უკვდავებისა—კაცთათვის დაპირებული! მაშ, ნუ გამაწბილებ! ნუ დაიშურებ ჩემთვის შენს ცხოველ-მყოფელს სხივს, გაათბე შენის გულის ალით ჩემი გრძნობათა ბუდე—ცივ-სამარედ ქცეული! დამიბრუნე ნეტარი წალკოტი ჩვენ მამათ-მთავართა-მიერ დაკარგული, განბანე შენის გრძნობის წმინდა ნაკადულში ყველა ჩემ ცოდვათაგან და განსპეტაკებული წარმადგინე იმ სიყვარულის წინაშე, რომელიც ჩამქრია ამ ტანჯულს გულში!!“

თითოეული სიტყვა ამ ტირადისა, ყოველი მიმოხვრა ხმისა — იგივე იყო,—რაც ამ დილით წარმოთქმული და მერე სცენაზედ განმეორებული! მხოლოდ ეს სიტყვები, ეს ხმა აღარ ატკბობდა ქალის სმენას, აღარ აღნობდა მისს არსებას, როგორც ანთებული პატრუქი წმიდა სანთელს, აღარ იზიდავდა თავისსაკენ, როგორც ამ დილით იყო, არამედ ხელსა ჰკრავდა, გზას აზვევინებდა, როგორც გველის მოახლოვების დროსა და აშორებდა იმ კაცს, რომელმაც დასძლია ქალის სისუსტე და გამოსტყუა ფიცი ცალკე ნახვისა. როცა რუსუდანს გაახსენდა თავისი დაპირება—კინაღამ იქვე ჩაიჩოქა მთლად მოდუნებულმა.

— ოჰ, შემოქმედო, სადამდის მივაღწიე! სწორედ ის მემართება, რაც იმ განწირულის, ნამუს-ახდილს არსებას! მეც სწორედ იმის გზაზედ ვდგევარ; განა პირველად ისიც ჩემსავით არ მოტყუვდა?! მაშასადამე, იგივე მომელის, რაც იმას გარდახდა! ამის გახსენება და რუსუდანის გაკანკალება ერთი იყო; სასოწარკვეთილებით მიავლ-მოავლო თვალი სამარესავით მიყრუებულს არემარეს, თითქოს ხსნას ეძებსო და თვალი მისს წინ მდგარს საყდარზედ შერჩა. ამ წმიდა ტაძრის დანახვამ რაღაც შუქი ჩაუსახა გულში და უნებურად წარმოათქმევინა: «ღვთის მშობელო! შენ იყავ მფარველი ჩემის სინიდისისა!“ და ხელი აიღო პირჯვარის გადასაწერად, მაგრამ ამ დროს თავში ერთმა ფიქრმა გაუელვა, რომლის ზედმოქმედებამ მთლად ააქრთოლა და ჯვარის გამოსასახად ამართული ხელი მოკვეთილისავით ძირს დაახრევინა.

— რას ვჩადი?! მერე ამ ცოდვილის ხელით უნდა გამოვისახო პირჯვარი, იმ ხელით, რომელიც თითქმის ეხლაც-კი მეწვის N კოცნისაგან, ასე მგონია მისი გავარვარებული ტუჩები ზედ შემრჩენოდეს!—აქ ქალმა სწრაფლ წარმოიდგინა, რომ მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატება და უფრო სიღარიბე-სიღატაკეში ვცვივდებით მთელის ოჯახობით.

რადგანაც ცალკ ცალკე მუშაობით იმოდენა სარგებლობას და საშუალებას ვერ ვპოულობთ, რომ ჩვენის ნაწარმოებისათვის დავიქირავოთ საკუთარი საწყობი და სამართლიან ფასათ ვყიდოთ, რათა ამითი გავუძლვეთ და დავაკმაყოფილოთ აუცილებელი დღიური ხარჯი და სხვა საჭიროება. ამიტომ დღეს იძულებული ვართ, ძალა-უნებურად მივმართოთ დიდ ქარხნის პატრონებს, ან ჩარჩ-ვაჭრებს დღიურის ლუკმის საშოვნელად, იქნება უკანასკნელი სული მაინც არ ამოგვხდეს სიმშილ-შიშვლობით. ჩარჩ-ვაჭარია თუ დიდი ქარხნის პატრონი, რაკი გვხედავენ ასე გაჭირვებულებს, რომ არსაით გზა არა გვაქვს და მასვე მივდგომივართ კარებზედ ხვეწნით: რაც გინდა ჯამაგირი დაგვინიშნეო, რასაკვირველია, ისინიც სარგებლობენ და რაც თითონ ჰსურთ, იმ ჯამაგირს გვინიშნავენ; ასე კვირა-უქმე რომ გამოვიდეთ, მოგვდის თვეში ათი ან თხუთმეტი მანეთი, ხუთი-ექვსი სული-კი გვყავს თითოეულს შესანახი შუათანა რიცხვით. დიდის ქარხნის პატრონს წესად აქვს დადებული თვეში ერთხელ აძლიოს ჯამაგირი თვიურად მომუშავე ხელოსანს, ასე რომ პირველ რიცხვიდგან თვის დამლევამდის უფულოდ, უგროშოდ ვმუშაობთ და ამიტომ ნისიად უნდა ავიღოთ ხოლმე ვაჭრისაგან ყოველივე მაზანდა და შაურიანში ორი-სამი შაურიც ვაძლიოთ; რაც უნდა უვარგისი ხორაგი იყოს, მაინც ხმას ვერ ამოვიღებთ იმ შემთხვევაშიაც-კი, რომ 5 მანეთის ნახარჯში 7—8 მანეთი გადაგვახდევინოს და როგორც თითონ ვაჭარსა ჰსურს, ისე გვძარცვოს. ახლა ავიღებთ ჯამაგირს და მედუქნეც მზადა სდგას სახელოსნოს კარებში ჩვენგან მიცემულის ბარათით და თავისის საანგარიშო დავთრით, რომელზედაც ხელი გვიწერია, რომ რაც დავხარჯო, ყოვლის უარის უთქმელად მოგცეო. იმ ბარათის გარდა, რომელიც კერძოდ აქვს მიცემული ჩვენგან 10-15 მანეთის გირაოდ, რომ უფრო მაგრა ჩაგვჭიდოს ბრჭყალები.

ავიღებ მაგალითად პატარა სახელოსნოს პატრონს, ანუ სახლში მომუშავე დურგალს. მე დურგლის შესახებ ვლაპარაკობ, რადგანაც მე თითონ მათსავე უღელში ვარ შებმული და ამიტომ კარგად ვიცი მათი ყოფა-ცხოვრება. ვსთქვათ დურგალმა დაიწყო შკაფის კეთება; რაც უნდა ჩქარი მომუშავე და კარგად დახელოვნებული ოსტატი იყოს და დღე-დამეც რომ იმუშაოს, თუ თავისს შესაფერს გეგმაზედ და კარგ ნაკეთობაზედ მივაგდებთ საქმეს, ამას მოუნდება ოსტატი სრულს ერთს თვეს და, ცოტაოდენ შესვენებით-კი ორს თვესაც (კერძო მომუშავე ხელოსანი, სახელოსნო აქვს თუ სახლში აკეთებს რამეს, უთუოდ დილის 5 საათიდგან ღამის 10—11 საათამდის მუშაობს დღეში), რასაკვირველია, მასალის ფასიც გვეცოდინება, თუ რამდენის მანეთისა მიდის თითო შკაფზედ; როგორც ზემოთ ვსთქვით, თუ შესაფერს მასალას ავიღებთ, სრული 20—22 მანეთის მასალა მიდის ერთს შკაფზედ, სახლის ქირაც 5 მანეთი ჩავთვალოთ და მაშასადამე, ერთის შკაფის გაკეთება უჯდება ხელოსანს, მუშაობის გარდა, 27 მანეთად, ჩარჩი-კი ბევრი-ბევრი 30—35 მანეთს მისცემს; თითონ-კი ექვსშვიდ თუმნად გაჰყიდის! ხელოსანს რჩება ერთის თვის ნამუშავარში სამი-რვა მანეთი, მუქთა-ყლაპია ჩარჩი-კი 30—35 მანეთს იგებს! სწორედ ჩვენც ისე მოგვდის, როგორც სოფელში ჩვენს მოძმე გლეხს: ის ხნავს, სთესავს, მკის, ლეწავს, ფქვავს და მზა-მზარეულს აძლევს ნახევარ ან მესამედ ფასად მუქთა ყლაპია ჩარჩ-ვაჭარს და ამის ნაცვლად ჩარჩი ჩვენგანვე მუქთად ნადავლნაშოვარს ავეჯს აძლევს ერთი-ორ ფასად. ასე რომ სოფელში ჩვენ მოძმეებს ძარცვა-გლეჯავენ და ქალაქებში მუშა-ხელოსნებს და წურბელას.

მერე რა არის მიზეზი ჩვენის ასეთის ყოფისა? ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია—ჩვენი უცოდინარობა, დაუდევრობა და ერთმანეთის მიუკარებლობა. დღეს ეს აღარ შეგვფერის, საჭიროა ვიზრუნოთ ჩვენის თავისთვის და ჩვენის შვილებისათვის, რომ ისინი მაინც გადავარჩინოთ ტანჯვავებას, რამდენადაც ეს ჩვენზეა დამოკიდებული. უეჭველია დღეს უფრო შეგნებული უნდა გვქონდეს ჩვენი ყოფა-ცხოვრება, ვიდრე ამ ათი-თხუთმეტის წლის წინად; თუ აქამდის არა, დღეს მგონია ყველანი კარგად ვგრძნობდეთ ჩვენის ცხოვრების გაუმჯობესების ზოგიერთ საშუალებას. ჩვენ მუშა ხელოსნები ძლიერ მდიდრები ვართ, მაგრამ ძლიერ ღარიბად-კი ვცხოვრობთ, იმიტომ რომ არა გვაქვს ყადრი ჩვენის სიმდიდრისა, არა ვხმარობთ იქვე, სადაც საჭიროა, არ ვუდებთ საძირკველს ჩვენს სიმდიდრეს მტკიცე ნიადაგზედ, რომ იგი გვეკუთვნოს ჩვენ, მშრომელს ერს, და არა თითო-ოროლა მუქთა-ყლაპიას. გავითვალისწინოთ ჩვენი სიმდიდრე—შრომა, რომლითაც აშენებულია ჩვენის მძარცველების მაღაზიები, სავსეა ჩვენის ნაშრომ-ნაწარმოებით! თუ-კი ამოდენა მუშის ნაწარმოებისათვის თითო-ოროლა კაცს დაუქირავებია მაღაზია და ასაღებს ჩვენის შრომით ნაღვაწს, ჩვენ უფრო ადვილად არ შევძლებთ ჩვენის ნაწარმოების გასაღებას, თუ-კი მივცემთ ერთმანეთს ძმურად პირსა? ჩვენ საერთოდ უფრო იაფად დაგვიჯდება მაღაზიის ქირაცა და ერთი-ორად მოგებაც ჩვენვე დაგვრჩება და მუშტარიც ჩვენგან უფრო მეტს ისარგებლებს, ვიდრე ჩარჩვაჭრისაგან. იქნება მკითხოს ჩემმა დაუჯერებელმა მოძმემ: რით, საიდგან და როგორ შევიძლებთ ჩვენ მაგასაო, როდესაც ჩვენს თავს დღითიდღე ძლივს ვირჩენთო?

მე ასე ვუპასუხებ მას: ძალიან ადვილად — ყოველივეს გაგვიკეთებს ერთობა და შრომა, საერთო შრომა. რასაც ეძებდეთ, მასა ჰპოვებდეთო, ბრძანა მაცხოვარმა. უნდა ვეძიოთ და უნდა ვეცადოთ ჩვენც. თუ ღვინის სარდაფს ვეტანებით, შუბლის გამხურებელს ნუნუას ვეწაფებით და ისედაც გაღარიბებულს ტვინსაც და ჯიბესაც ვითხელებთ და ორ-სამს დღესაც ვცდებით და ამით უკანასკნელს ორ-სამ მანეთსაც ვკარგავთ, განა არ შეიძლება ამ უსარგებლოდ დაჰნევის მაგიერ, საკეთილო საქმისათვის გადავდოთ თითო-ოროლა გროში, რაც ერთ-ორს წელიწადს შეგვიდგენს თანხას, რომლითაც შეგვეძლება მოვკიდოთ ხელი ჩვენის ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს?!. მაშინ საქმე თითონ გვაჩვენებს საკეთილო გზასა და კვალსაც. მხოლოდ პირველად საჭიროა გული და ნდობა. აქ უნდა ცდა: ცდა ბედის მონახევრეაო, ამბობს ანდაზა; მართლაც—ყველაფერს საქმეს ცდა უნდა. გავანძრიოთ ხელები, გავიმახვილოთ გონება, გავისუფთაოთ ზნეობა, გულმოდგინედ მივიღოთ ნასწავლთა დარიგება, პირადად თუ წიგნობრობით; ცუდ-უბრალო ლაპარაკს წიგნების კითხვა სჯობია. იქიდგან გავიგებთ: სად რა ხდება და როგორ შველის მუშა ხალხი თავისს თავს და ჩვენც ისე მოვკიდოთ საქმეს ხელი!

მ. დურგალი.

## ბომონები სოფ. ყუმს.

ისტორიული ნაშთები ამტკიცებენ, რომ სოფელი ყუმი ჭარის ოლქისა. შესანიშნავი ყოფილა ქართველთ ისტორიულ ცხოვრებაში. ს. კახში არ დარჩენილა იმდენი ისტორიული ყრუ მოწამენი ქართველთა წარსულ დიდებულის ცხოვრებაში ამ მხარეებში, რამდენიც სოფ. ყუმში. ოდესღაც იმას სახელიც შესცვლია: კახის მცხოვრებთა ფოლადაშვილების გაყრის სიგელში აღმოვიკითხე, რომ მე-XIII საუკუნეში ყუმს დაჰრქმევია თათართაგან „ბალდაათ შაარი“, ესე იგი „თაფლის ქალაქი“. ასეთი სახელი მიუღია იმას იმ მიზეზით, რომ აქ ძალიან ბევრია ფუტკარი და თაფლი. ს. კახი, თუმცა ყოფილა რეზიდენცია წუქეთის მმართველებისა, მაშასადამე, მოთავე ყუმის სოფლისაც, მაგრამ ისეთი ეკკლესიები არ ყოფილა ს. კახში, როგორც ს. ყუმში. ის მარტო ქრისტიანულის ნაშთებით არ არის შესანიშნავი. აქვე დღემდე დარჩენილია ორი ბომონი. ისინი მდებარეობენ სოფლის თავში, წყლის პირად აშენებულნი აგურით შაქრის თავის მზგავსად—მაღალს ადგილას. იგინი ვნახე 27 სექტემბერს. თანა მყავდა ერთი იმერელი და ყუმის მამასახლისი. ლეკებს სდომებიათ მათი დანგრევა და აგურის წაღება, მაგრამ მკვიდრი შენობისათვის ვერა დაუკლიათ-რა, თუმცა უცემნიათ წერაქვი ძალ-ღონითა.

უეჭველია, ეს შენობანი ეკუთვნის იმ დროს, როცა ქართველნი აღიარებდნენ ზოროასტრის სარწმუნოებას. ისინი არიან სიმაღლით თითო ორ საჟენ ნახევრისა, სისქით ოთხი საჟენი, ნაშენია აგურით და ისე შეკავშირებულია აგური კირთან, რომ ქვაზედ უმაგრესია შენობა. სისქეზედ გაკეთებული აქვს ერთის გვერდიდგან მეორეზედ შუაგულში რამდენიმე ხვრელი, ურმის ღერძის სისქის ოდენა. ვის აუშენებია ეს შენობები, რისთვის და რა ყოფილან, ხალხმა არ იცის; მაგრამ როცა მე ავუხსენი, რომ ისინი კერპების ბომონები არიანო, გული არა აქვთ და შიგ კედლებში ისრები აწყვიაო, მაშინ ყუმის მამასახლისი შიხ-მირზა დამეთანხმა და მითხრა: „მჯერა შენი ახსნა; ამისთანა შენობა არის სოფელ წახურშიაც და წახურელები, როცა სამრთოთ აქვთ დასაკლავი, ჯერ მას გარშემო შემოუტრიალებენ საკლავს და მერმე ჰკლავენ; ეტყობა, რომ ის ოდესღაც სალოცავი ყოფილა და ხალხს ჯერაც არ დაჰვიწყებია და ძველს კერპულს ჩვეულებას კიდევ მისდევსო“. ამ კერპთა სალოცავების მახლობლად ვაკეზედ ყოფილა ეკკლესიაცა, მაგრამ ის საფუძვლიანად დანგრეულია და მის გარშემო ხვნის დროს ბევრს მოკლე-მოკლე რკინის ისრებს პოულობენ თურმე ლეკები. ეკკლესია უთუოდ წმ. გიორგის სახელობაზედ უნდა ყოფილიყო აშენებული. ასე ვგონებ ამისათვის, რომ ქართველთა საეკკლესიო ისტორია მოგვითხრობს:

„საცა უწინ კერპთა ბომონები ყოფილა აშენებული, იქ ქართველებს წმიდა გიორგის ეკკლესიები აუშენებიათ, როცა მიუღიათ ქრისტიანობაო.“ მაგრამ ჩემი ფიქრი ის-კი არ

---

დღე გამოუთქმელ სიამოვნებას გრძნობდა და თავისს ხელებს თითონვე იკოცნიდა, რათა ცოტათი მაინც ეგემნა N ბაგეთა სიტკბოება, თითქოს ეს სიტკბოება მას ხორცში ჩასწვეთებოდა.

სირცხვილის ალმა პირისახე მთლად აუტკრიცა, როცა ეს საქციელი მოაგონდა და ნაბიჯს უმატა, რომ სახლში მალე მისულიყო.

რაღაც გრძნობა ეუბნებოდა, რომ სახლში, საყვარელ შვილისა და ქმრის სიახლოვეს—ეს ჯოჯოხეთური დუღილი გულისა დაუწყნარდებოდა.

დიაღ, რუსუდანი თითქმის მირბოდა, ასე გონია, უკან საშიში რამ მისდევსო. და განა საშიშარი არ იყო ის საშინელი მორევი გარყვნილობისა, რომელიც ამ რამდენისამე წუთის წინ სცენაზედ გაითვალისწინა და რომელიც, თითქოს, მასაც შთანთქმას უქადდა!?

ამ სულიერის ყოფით რუსუდანმა, როგორც იყო, სახლს მიაღწია და მაშინვე ბავშვის საწოლისაკენ გაქანდა, ასე რომ თვალებ-მფშვნეტავი მოახლე, რომელიც წინ შეეფეთა კინაღამ გადააქცია. ბავშვს ეძინა. ჭერში დაკიდული ვარდის-ფერ ნათელის განმფანტველი ლამპარი საოცნებო ჩრდილსა ჰფენდა საწოლს ბალღისას, რომელიც მარჯვენა მხარზედ წამოგორებულიყო, თავ-ქვეშ პაწია ფუნჩული ხელი ამოედო და ნაზად ფშვინავდა, მარცხენა ხელი-კი წინ გადმოეგდო და თათი ლეიბზედ გაეშალა, თითქოს ზედ დაჰბჯენიაო. უმანკო ღიმილს შუა გაეპო მარჯანის მზგავსი ტუჩები და პაწია თეთრი კიჭები გამოეჩინა, თითქოს სიზმარში დედის ძუძუს ჰხედავს და იმას უცინისო. ამ უბიწო შარავანდედით მოსილ ბალღის დანახვა და რუსუდანის დამშვიდება ერთი იყო ის მძიმე ტვირთი, რომელიც აქნობამდის მას ლოდად აწვა, სწრაფლ მოეხსნა და გულმა ტკბილ ებანსავით დაუწყო ძგერა.

— ამ ანგელოსს, ამ ღვთაებას, ამ სიხარულს დედისას უნდა გამოვსალმებოდი?!—წამოიძახა აღფრთოვანებით რუსუდანმა და მცირე სიჩუმის შემდეგ კვლავ განაგრძო: ოჰ, რა ხიფათში ვიყავ! გმადლობ შემთხვევავ, რომ წყვდიადს ამაცდინე და კვლავ დამიბრუნე ოჯახი, რომელიც ცოტას გასწყდა ხელიდგან არ წამერთო! შენ გენაცვალოს დედა! არავიზედ არ გაგცვლი!—და თვალებმონამული ქალი შვილს დაეკონა.

პატარა ბიჭიკომ ტუჩები გააცმაცუნა, თვალის ქუთუთოები შეათამაშა და მარცხენა თათი შეკუმშა, ასე გონია მშობლის ძუძუს დაებღაუჭაო.

ამის შემდეგ დამშვიდებული რუსუდანი მივიდა მაგიდასთან, სანთელი აანთო და საწერ-კალამს დაუწო ძებნა. უეცრად მისი ყურადღება ერთმა სურათმა მიიპყრო, რომლის დანახვამ, ცოტა არ იყოს, შანდალის მჭერავი ხელი აუკანკალა, რის გამოც ალ-მოცული პატრუქი—აქეთ-იქით ისე გადაწვგადმოწვა, რომ გეგონებოდათ სანთლის კიდეები გადაჰკოცნაო.

კარგა ხანი უყურა რუსუდანმა ამ სურათს გაშტერებით, მერე თავი მწარედ გააქნია და ნაღვლიანად წარმოსთქვა:

— რა დიდი განსხვავებაა!—ვით ანგელოსისა და ეშმაკის შორის.

ეს არის თვით განხორციელება სათნოებისა და ის-კი მაცდურებისა ერთი გაჩენილა—რათა მიანიჭოს თავისს ცხოვრების თანამგზავრს მუდმივი მყუდრო ცხოვრება, აუღელვებელი და ტკბილი, მეორე-კი იმისათვის, რომ გადალახოს ყოველი სიწმიდე, დასწვას თავისის დემონურის ალით მეორე ადამიანის არსება, ერთხანს შეისისხლ-ხორცოს იგი, გადაადნოს, რომ მერე, როცა ჟინს მოიკლავს, უკუ აგდოს იგი, ვითარცა უმნიშვნელო ნივთი! და სად იყო აქამდის ეს განცდა? რატომ წინადაც ასე არ მეჩვენებოდა? რამ მომანიჭა ეს სინათლე, აქამდის ჩემთვის უხილავი? ეკითხებოდა რუსუდანს გრძნობა?—„ხელოვნებამ, ხელოვნებამ“—აძლევდა პასუხს გონება.

— დიაღ, ხელოვნებამ! წარმოსთქვა ფიქრის შემდეგ ქალმა.—იმან ამიხილა თვალები, იმან დამანახვა აწ არსებული და მომავალი, რომლის შესახებ მე სრულიადაც არა ვფიქრობდი! მაშ, დიდება ხელოვნებას! იყავ კურთხეულ ამიერიდგან ცოდვათა განმბანელო ცხოველ-მყოფელო ნაკადულო! თუ შენ არა—მე ახლა მოღალატე ვიქნებოდი ამ პატიოსანის კაცისა! შენ დამიყუჩე აღძრული ბუნება! შენ დამანახვე ჩემი თავი უფსკრულისაკენ მიმავალ დაღმართზედ მდგარი, შენ დამისურათე ხატე ის წუმპე, რომელიც მე, ადრე თუ გვიან, მომელოდა! შენ იხსენ საშინელ უბედურებისაგან ძუძუ-მწოვარა ბალღი, შენ გადაარჩინე ზნეობრივი კაცი და მისი ოჯახი გაუპატიურებას. იყავ კურთხეულ! შენის წყალობით მე ხელ-ახლად ვიბადები, თითქმის ახალს ცხოვრებას ვიწყებ! მე აწ წმინდა ვარ ჩემის სინიდისის წინაშე, რადგანაც გულიდგან სავსებით ამოვიფხიკე ყოველი ნაკვთი, ყოველი ხაზი წარსულისა და ამიერიდგან აღარავითარი მაცდური ფიქრი არ დაისადგურებს მასში! მაგრამ ეს სიხარული—ეს გამარჯვება—მარტო ჩემთვის ნუ იქნება დღესასწაულად! დეე, იმანაც გაიგოს—რა ხიფათი მოელოდა მისს ოჯახს, იგრძნოს ჩემი ტანჯვანი, მაპატიოს უნებური შეცოდებანი და აღფრთოვანებულმა ჩემთან ერთად ლაღად-ჰყოს: „დიდება ხელოვნებას!“—ამ სიტყვით კამკამა ცრემლის მფრქვეველი რუსუდანი ქმრის სამუშაო ოთახისკენ გაქანდა.

ილ. ელეფთერიძე.

5 ოქტომბერი 1895 წ.
ქ. ტფილისი.

არის, რომ ვითომც მინდოდეს ვუჩვენო აქ წმ. გიორგის ეკკლესია ყოფილაო, არამედ მწადიან შევატყობინო ქართველთ ისტორიის მოყვარეთ, რომ კერპთა ბომონი მარტო ტფილისში-კი არ არის დარჩენილი ფეთხაინის ეკკლესიის მახლობლად, როგორც სწერს ქ. ტფილისის აღწერაში პ. იოსელიანი, არამედ ზაქათალის ოლქის სოფელ ყუმშიაც არიან ბომონნი.

მღვდელი დ. ჯანაშვილი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

მომავალ წლიდგან სხვა-და-სხვა გუბერნიებში, ხაზინის მხრივ ფულით დახმარებით, 18 დაბალი სამეურნეო სკოლა იქნება გახსნილი. ისეთი სკოლა გაიხსნება ისეთ დაშორებულ ადგილებშიაც, როგორც ბაქოსა, ასხაბათსა და სხვაგანაო, იწერება გაზ. „ნოვოე ვრემია“.

—

როგორც გაზეთები იუწყებიან, განზრახვა თურმე აქვთ საქონლის მოშენების საქმის გასაუმჯობესებლად განსაკუთრებული ფონდი დააარსონ, რისთვისაც უცხოეთისა და რუსეთის საუკეთესო ჯიშის საქონელს შეისყიდიან. თანხა, რომელიც დღეს არის გადადებული ამ განზრახვით, 40-დგან 200 ათას მანეთამდე იქნება გაძლიერებულიო.

## უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** საიდუმლო კომიტეტი სცდილობს სომხეთში რეფორმები იქმნან შეტანილნი და საკუთარი მთავარი დაენიშნოთ მმართველად. სომხების ეკკლესიებში 3000-მდე სომხებს მოუყრიათ თავი, უფრო-კი ახალგაზდებს. სულთანმა ჯერ ბრძანება გასცა პური მიეცათ ეკკლესიებში მყოფ სომხებისათვის, მაგრამ მოძრაობის მოთავეებმა უარი სთქვეს ოსმალეთის პურზედ, საწამლავი ექნება გარეულიო. ამბობენ, იმ პურში, რომელიც სომხებისთვის მიჰქონდათ, რევოლვერები იპოვეს და ამიტომ ეკლესიებში პურის შეტანა სრულიად აკრძალეს და თვით ეკკლესიებს ჯარი შემოარტყესო; ჯარი გამოსვლით ყველას უშვებს, მაგრამ შიგ ეკკლესიაში შესვლის ნებას-კი არავის აძლევსო. ტრაპიზონის სისხლის ღვრის დროს, როგორც ამბობენ, ვალი (გუბერნატორი) მოუკლავთ.

სტამბოლის მდგომარეობა მეტად გაჭირვებულია, საპოლიტიკო წრეებში ხმა დადის ხმელთა-შუა ზღვის ინგლისის ესკადრა გაძლიერებულ იქმნა ლამანშის ესკადრითაო; ამ ჟამად ლემნოსსა და კავალლასთან ათი დიდი და ხუთი საუკეთესო ჯავშნიანი გემები სდგასო. ამბობენ, ოსმალები რაც შეუძლიანთ აჩქარებენ დარდანელის გამაგრებას,—სდგამენ ახალს ზარბაზნების დასადგმელებსა და ზღვაში ამაფეთქებელს მანქანებს უშვებენო. სარწმუნოდ ამბობენ, რომ ინგლისელები სრუტეს ზარბაზნების სროლას დაუწყებენ, თუ აჯანყება დროზედ არ მოისპოო. ამბობენ, ოსმალეთის მთავრობამ აუწყა თავისს მხრივ, რომ იგი მაშინ ევროპიელთ ვეღარ დაიცავს კონსტანტინოპოლში. საერთა-შორისო გავლენიან პირთა წრეში საქმეს ცვლილება ეტყობა,—უკმაყოფილონი არიან იმ სახელმწიფოსი, რომელმაც ასე საშინლად გააზვიადა ეს ამბავი და კინაღამ მთელი აღმოსავლეთი ააფეთქა ამის გამო.

## თეატრის მატიანე.

—

როგორც, № 214-ში გვქონდა მოხსენებული, ქართულს სცენაზედ წარმოდგენილი იქმნება ხუთ-მოქმედებიანი ცნობილი დრამა „იაკობელები“ ფრანსუა კოპპესი.

პიესის შინაარსი ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნეს, როდესაც კარლ ედუარდი, შვილი იაკობ მესამისა, სტიუარტების მეფეთა გვარიდგან, ებრძოდა ინგლისელებს სამეფო ტახტისთვის.

პირველი მოქმედება გვიჩვენებს, როგორ მიეგება შოტლანდიის ერი კარლ ედუარდის განზრახვას, როგორ არ უნდოდათ ზოგიერთებს შეერთებოდნენ კარლ-ედუარდის ჯარს და შემდეგ როგორ მიემხრნენ მას ერთხმად, როდესაც უსინათლო ბერი-კაცმა ანგუსმა წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა. ლორდ რიჩარდ ფინგალი წინამძღვარობასა კისრულობს, მისი ცოლი დორა მთლად მოხიბლა და დაიმონავა კარლ-ედუარდმა.

მეორე მოქმედება სწარმოებს კარლ-ედუარდის ბანაკში. ღამეა. მეორე დღეს თავს უნდა დაესხნენ ინგლისელებს. კარლ-ედუარდს ამ ღამეს „რანდევუ“ აქვს დანიშნული ლედი-დორასთან. ზოგიერთ ჯარის-კაცთ იციან ეს, მხოლოდ არ იციან, ვინ არის ის ქალი. წავლენ დასაზვერავად, იმ გარდაწყვეტილებით, რომ თუ კარლ-ედუარდმა ვინმე პატიოსანი ქალი შეაცდინა, გადუდგნენ მას და აღარ გაჰყვნენ საომრად. ამას გაიგებს უსინათლო ანგუსის ქალი მარიამი, რომელსაც აგრეთვე უყვარს კარლ-ედუარდი და ცდილობს ჯარის-კაცთა მიერ განზრახულს უბედურებასააცდინოს.

მესამე მოქმედება სწარმოებს ქოხში, სადაც ლედი-დორა და კარლ-ედუარდი პირობისამებრ ერთმანეთს შეჰხვდებიან. ბერი-კაცის ანგუსის ქალი მარიამი შეატყობინებს მათ ჯარის-კაცების განზრახვას. ლედი-დორა და კარლ-ედუარდი იმალებიან და ჯარის-კაცნი ლედი-დორას მაგიერ ნახავენ მარიამს. მეოთხე მოქმედება სწარმოებს კარლ-ედუარდის ჯარის დამარცხების შემდეგ. მისნი მომხრენი გაიფანტნენ, თვითონაც იმალება. თავშესაფარს მთიულ დუნკანის სახლში ჰპოვებს, აქავეა ლორდ რიჩარდ ფინგალიც, რომელიც დიდად ჰგოდებს თავის ცოლის ლედი-დორას სიკვდილს, რომლის მიზეზიც ომი იყო. ის იგონებს, მისი ცოლი როგორ იბრძოდა პირველ რაზმებში და როგორ მოკვდა ამავე სახლში მის მკლავებზედ. მაგრამ ამ დროს რიჩარდ ფინგალი, მედალიონის წყალობით, რომელიც ლედი-დორას ეკუთვნოდა და რომელშიაც იდვა სურათი და კარლ-ედუარდის მიწერილი წერილები, შეიტყობს თავისს ცოლის წარსულს. აღიგზნება შურისძიებით და ის არის უნდა გამოასალმოს სიცოცხლეს თვისი პატიოსნების შემლახველი კარლ-ედუარდი, რომ უცებ შემოიჭრებიან ინგლისელი მდევრები კარლ-ედუარდის დასაჭერად. პატიოსანი რიჩარდი იმდენად არის გამსჭვალული სტიუარტთა სამეფო საგვარეულოს სიყვარულით, რომ შურისძიებას გულში მოიკლავს, თვით ეძლევა ინგლისელ მდევართ ხელში და მით კარლ-ედუარდს გადაარჩენს.

მეხუთე მოქმედება წარმოადგენს უდაბურს ადგილს. კარლ-ედუარდი დაღლილ-დაქანცული აქ შეჰხვდება უსინათლო ანგუსს და მისს ქალიშვილს მომაკვდავს მარიამს. მარიამი უკანასკნელად ეღირსება თავისს გულის დამმონავებელის კარლ-ედუარდის კოცნას და განუტევებს სულს. ედუარდი მშვიდობით მიაღწევს გემამდის და საფრანგეთში გაიქცევა თავის დასაცველად.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

კრწანისის ველზედ აღა-მაჰმად-ხანთან ომში დახოცილ ქართველთა ძეგლის ასაგებად გიგზავნით თერთმეტ მანეთს და 30 კაპეიკს, შეგროვილს სოფ. ბალთაში და გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიაში“ შემომწირველთა სია:

მაკარ კვიჟინაძემ 2 მ., კახტანგ ყაზბეგმა 1 მ., ნიკოლოზ ფარეშიშვილმა 1 მ., სერგეი და ნიკოლოზ ბერძენოვებმა 1 მ., გიორგი ხადურმა და მიტრო ქავთაროვმა ათ-ათი შაური, იაგორ დუდუშაურმა 45 კ., პავლე და ლექსო კაწიურებმა 50 კ., ზაქარა ბურდულმა, ზაქარა თინიკაშვილმა, მღ. ბ. მაჭარაშვილმა და ეგნატე ქინქაძემ თითო აბაზი; ივანე ჩოხელმა, იაგორ ქინქაძემ და გიორგი თინიკაშვილმა სამ-სამი შაური; იაგორ ხეთურიძემ, სვიმონ წიკლაურმა, ივანე ქინქაძემ, გიგო ქინქაძემ, პეტრე თინიკაშვილმა და თამაზა კუცურმა ორ-ორი შაური; ქრივმა გაიანე ჭონიშვილისამ 50 კ.; ი. დ. ჭონიშვილმა 2 მ. 32 კ.—აქედგან ფოსტაში დაიხარჯა 32 კ.

ბალთის ტელეგრაფის უფროსი დათიკო ჭონიშვილი.

1895 წ. სექტემბერი. ბალთა.

სულ გვქონდა ამ ფონდისა 20 მან. და 60 კ. ამითი იქნება 31 მან. და 90 კ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

6 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** ქაღალდის ფულის ყალბის ასმანეთიანის აღმოჩენისა გამო ფინანსთა სამინისტრომ საჯაროდ გამოაცხადა „პრავიტ. ვესტ.“-ში უმთავრესი განმასხვავებელი ნიშნები ამ ყალბის ქაღალდის ფულისა.

გარეშე საქმეთა მინისტრი 5 ოქტომბერს დაბრუნდა პეტერბურგს.

**სევასტოპოლი.** 5 ოქტომბერს იქმნა გახსნილი ძეგლი სევასტოპოლის გმირის კორნილოვისა.

**პარიჟი.** ხარჯთ-აღრიცხვის კომისიაში ზღვათა მინისტრმა განაცხადა, რომ ფლოტი უნდა გაძლიერდესო; ფლოტის გაძლიერებას მოუნდება ზედმიწევნით მილლიარდი ფრანკი, რაიცა განზრახული აქვთ 12 წლით გაანაწილონ.

**კონსტანტინოპოლი,** 5 ოქტომბერი. გამოცხადდა ბრძანება სულთანისა რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის ელჩების მიერ შემუშავებული ოსმალეთის სომხეთის რეფორმათა პროექტის დამტკიცების შესახებ. ელჩებმა გარდასწყვიტეს სთხოვონ სომხთა პატრიარქს დაუყოვნებლივ იხმაროს ყველა საშუალებანი თავისი სამწყსო დაამშვიდოს.

**ლონდონი.** ის ამბავი, რომ ვითომ ინგლისის ხომალდებიდგან ზარბაზნები ესროლოთ ქალაქ ზაზარასათვის მართალი არ არის,—ამბავი შეეხება ბარეინის კუნძულს, სადაც ჯერ ისევ აგვისტოში მოხდა უწესოება.

კონსტანტინოპოლიდგან ატყობინებენ გაზეთს „ტაიმსს“ ერთს ამბავს, ვითომ მიჰმადიანთა უკმაყოფილება მომავალში სამეფო საგვარეულოს უქადდეს ტახტიდგან გადმობრძანებას.

მაგოლიტებს განზრახვა აქვთ ისლამი განათავისუფლონ ვითომდა მათს კისერზედ მძიმე ტვირთად დაწოლილის უცხოეთის გავლენისაგან. სამხედრო უწყება თავისს მხრივ სხვა-და-სხვა საშუალებებს ხმარობს თურმე იმ შემთხვევისათვის, თუ უწესოება-რამ მოხდება.

**შანჰაი.** კინხაუს მახლობლად ჩინნთის გემი „კუნგაი“ აფეთქდა. როგორც ხმა ისმის 600 კაცამდის დაღუპულაო.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბანინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სა[illegible] შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, [illegible]ნიგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათმდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცე[illegible] დაჯერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქ[illegible]რი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

გამოვიდა კ. თავართქილაძის გამოცემული ახალი წიგნი

## სახელმძღვანელო

საღმრთო სჯულის სასწავლებლად ძველისა და ახალის ისტორიისა.

მესამე გამოცემა სურათებით.

შედგენილი და შესწორებული სამრევლო სკოლების პროგრამაზედ მღ. ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ.

150 გვერდი, ფასი 25 კაპ.

—

Опытъ русско-грузинскаго

## СЛОВАРЯ

ბაგაევისა.

300 გვერ., ღირს 45 კაპ.

—

**მარგალიტა გოტიე**
ალექსანდრე დუმა-შვილისა.
ფრანგულიდგან ნათარგმნი ნ. ბადრიძისა.
350 გვერ., ფასი 40 კაპ.

(10—8).

## ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამ[illegible]
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, [illegible]ველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

დაიბეჭდა მეორე გამოცემით

## იავ-ნანამ რა ჰქმნა

მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა.

წიგნი შემკულია რვა სურათით, რომელნიც მკითხველს თვალწინ უდგენენ: 1) ზურაბ ქართველაძეს და მისს ცოლს პატარა ქეთოთი, როდესაც ქმარი უკრავს თარზედ და ცოლი დამღერის; 2) ქეთოს მოტაცებას ტყეში ლეკებისაგან; 3) ქეთოს ყიდვას ნაიბისაგან; 4) ქეთოს მოტაცებას ათის წლის შემდეგ მამის მიერ; 5) ქეთოს მოყვანას შინ; 6) დედა მღერის „იავ-ნანასა“ და ქეთო გონზედ მოდის, ცნობულობს დედას და იგონებს თავისს ბავშვობასა; 7) ქეთო ხელებ გაშლილი მირბის დედისაკენ; 8) დედა და შვილი ერთმანეთს ეხვევიან. წიგნი ისყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში: ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ბეჟანეიშვილთან და ჭილაძესთან, ოზურგეთსა და სენაკში თავართქილაძესთან. ფასი ყველგან ორი შაურია. (10—2)